პრესრელიზი

15 იანვარი, თბილისი - 17 იანვარს, 16:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3), ილია აბულაძის დარბაზში, გაიმართება მონოგრაფიის, „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), პრეზენტაცია.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია მსოფლიოს 21 ქვეყანაში დაცული VII-XIX საუკუნეების 1 532 ქართული ხელნაწერი წიგნისა და ფრაგმენტის შესახებ არსებული სამეცნიერო ინფორმაცია.

აღნიშნული შრომისა და პუბლიკაციების პროცესი მიმდინარეობდა 2015-2018 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ - ქართული და ინგლისურენოვანი მონოგრაფია“ ფარგლებში.

პროექტში მონაწილეობდნენ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები, კოორდინატორი ნესტან ჩხიკვაძე, ზურაბ სამარღანიშვილი, ლელა შათირიშვილი, მაია კარანაძე და ვლადიმერ კეკელია.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის ქართული ხელნაწერების უდიდესი საცავი მსოფლიოში. მას ორი უმთავრესი მიმართულება აქვს - ხელნაწერების დაცვა-აღრიცხვა და მათი მეცნიერული კვლევა, რომლის ნაყოფიც გახლავთ მონოგრაფია „ „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge